PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „მებოსტნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ქ. ახალქალაქში

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნაზო წიბლიაშვილი

წევრი: თამარ ახალაძე
ინგა ბოჭოიძე

(თბილისი, 2021 წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 24 მარტის №279121 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე ნაზო წიბლიაშვილი-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, ჯგუფის წევრი თამარ ახალაძე -პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი; ინგა ბოჭოიძე-უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი) სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წერილის (რეგისტრაციის №223864; განხორციელების ადგილი ქ. ახალქალაქი; აღმაშენებლის ქ. №119) საფუძველზე დაევალა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, „მებოსტნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის ინგა ბოჭოიძის ფუნქციებად დამატებით განისაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობის შეფასება და დასკვნაში ასახვა.

დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტაცია - პროფესიული საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამა დანართებით (მოდულები, სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსი, განმახორციელებელი პერსონალი), პროგრამის დამტკიცების აქტი, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება, სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობის შეფასებისას დადგინდა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება იგეგმება ქალაქ ახალქალაქში, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 კორპუსში, სადაც ასევე ხორციელდება აკადემიური პროგრამები. პროგრამის განხორციელებაში არ არის ჩართული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა ახალქალაქში შეაჩერა ერთი საბაკალავრო პროგრამის განხორციელება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მე-3 კორპუსის გეგმის მიხედვით, აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებისათვის განსაზღვრულ სივრცეებს შორის არ არის გადაფარვა. უნივერსიტეტში „მებოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებით, უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რისკი არ იქმნება და არ ხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

დამატებით იქნა გამოთხოვილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2021 წ. 13 აპრილს განხორციელდა დისტანციური ჩართვა დაწესებულებასთან. განრიგის დაცვით მოხდა გასაუბრება, უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკურ ხელმძღვანელთან.
ჩართვის დროს განხილული იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. დათვალიერებული და გადამოწმებული იქნა სასწავლო გარემოები, მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემოწმებული დოკუმენტების და განხორციელებული ჩართვის საფუძველზე აღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტთა მიერ შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ გამოვლენილა

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ გაცემულა

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია.

2.2.1.(1) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

A გარემოში წარმოდგენილია 20 სამუშაო ადგილი (მადიდა და სკამი 20 პროფესიული სტუდენტისათვის), გარემოში არაა განთავსებული პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განკუთვნილი კომპიუტერი და დემონსტრირების ციფრული საშუალება.

B გარემო არ არის სათანადოდ აღჭურვილი, არაა კომპიუტერები (პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის), პრინტერი, დემონსტრირების ციფრული საშუალებები.

C გარემო - წარმოდგენილია ძველი შენობის ნანგრევები, სადაც პროგრამის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციის განცხადებით უნდა მოეწყოს დახურული გრუნტი (ე.წ. სათბური). ახლანდელი მდგომარეობით არსებული შენობა ვერ იქნება გამოყენებული მცენარის ზრდა განვითარებისათვის. დაწესებულებას არ აქვს C გარემოში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა.

დაწესებულების მიერ, წარმოდგენილი განაცხადით, კომპონენტი შეფასებული იყო **„სრული შესაბამისობით“.** დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტების საფუძველზე დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი (№213763; 10/03/2021) სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის სახელზე მიწერილი აღჭურვილობის შეძენაში დახმარებასთან დაკავშირებით და სააგენტოს პასუხი (№230083; 15/03/2021) აღჭურვილობის შესაძენად ფინანსურად უზრუნველყოფის დაპირების შესახებ, ასევე გაუმჯობესების გეგმა (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა) სადაც უკვე კომპონენტი შეფასებულია **„მეტწილი შესაბამისობით“,** შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში იდენტიფიცირებულია კომპონენტთან შეუსაბამობა, შესაბამისობის უზრუნველყოფის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აქტივობა შესრულების ვადა, პასუხისმგებელი პირი და სტრუქტურული ერთეული, შემსრულებელი, სხვა ჩართული პირები, დაფინანსების წყარო და ოდენობა (დაწესებულება თუ ვერ მიიღებს დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან, გამოყენებული იქნება უნივერსიტეტის ბიუჯეტი), შესასყიდი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, აღნიშნულიდან გამომდინარე კომპონენტი ექსპერტების მიერ შეფასდა **„მეტწილი შესაბამისობით“.** აქვე აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას არა აქვს გამოცხადებული ტენდერი და ვერ დგინდება აღჭურვილობის შეძენასთან დაკავშირებული პროცედურა მოგვარდება თუ არა 6 თვეში.

„მებოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად განსახორციელებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია სასწავლო გარემოს საჭირო აღჭურვილილობით უზრუნველყოფა.

განვითარების რეკომენდაცია

2.2.1 (3). პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

იმისათვის, რომ დარგობრივი პროფესიული მოდულის განმახორციელებელმა უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავება და შეფასება მიზანშეწონილია ჩაუტარდეთ ტრენინგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია აბდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მებოსტნე
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მებოსტნეობაში / Basic Vocational Qualification in Horticulture
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	აკადემიური საბჭოს დადგენილება №10. 11.03.2021
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. №119
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 ქ. ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. №119 მოდულური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	■	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

უნივერსიტეტის მისიაა უმაღლესი და პროფესიული განათლების თანაარსებობით, სწავლებისა და კვლევის გზით, წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში; უზრუნველყოს ტრადიციულ და ინოვაციურ მეთოდებზე დაფუძნებული კვლევები, შრომის ბაზარზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის აკადემიური ცოდნა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, პროფესიულ განათლებასა და მთელი ცხოვრების მანძილზე; დაეყრდნოს სამცხე-ჯავახეთის განვითარების პრიორიტეტებს, ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრირებას ქართულ საზოგადოებაში; აღზარდოს მაღალზნეობრივი, დემოკრატიული და ჰუმანური სულისკვეთებით გამსჭვალული თაობები, რაც განაპირობებს ენის, კულტურის, ინტელექტის განვითარების უწყვეტობასა და უმაღლესი განათლების ერთიან ევროპულ სივრცესთან შერწყმას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან უნივერსიტეტი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პერიოდის ვადებში პროგრამებს განიხილავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას, სტრატეგიის მთავარი მიმართულებაა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა სამცხე-ჯავახეთში, მრავალეროვანი მოსახლეობის ინტეგრაციის ხელშეწყობა პროფესიული განათლების კუთხით, რეგიონისთვის საჭირო კადრის მომზადება.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი „მებოსტნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას გეგმავს ქ. ახალქალაქში და მიაჩნია, რომ ამით გაიზრდება იმ ახალგაზრდების პროფესიულ განათლებაში ჩართვის შესაძლებლობა, რომლებსაც არ შეუძლიათ ახალციხეში ჩასვლა. ახალქალაქში მათ უნივერსიტეტი სთავაზობს რეაბილიტირებულ საერთო საცხოვრებელს საუკეთესო პირობებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლას შეძლებენ როგორც ქართველი, ისე სომეხი ახალგაზრდები. სწავლების ენა ქართულია, შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სომეხ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, დაეუფლონ სახელმწიფო ენას სახელმწიფო დაფინანსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

„მებოსტნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს რეგიონში სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას, მოხდება მთიანეთის მოსახლეობის დასაქმება და ახალგაზრდა თაობის მიგრაციის შემცირება, სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმდებიან და აქტიურად ჩაერთვებიან ქალთა სქესის წარმომადგენლები, ადგილობრივი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის შეიქმნება მდგრადი ბაზა, ფერმერები და გაერთიანებული ჯგუფები ეტაპობრივად ჩართვებიან პროექტის რეალიზაციაში, მოტივირებული ფერმერები სხვა ფერმერებისათვის მოაწყობენ სიახლეების დემონსტრაციულ ჩვენებას, გამოიკვეთება პრიორიტეტები, როგორც ტრადიციულ ასევე ალტერნატიული სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსაყვანად, რაც ხელს შეუწყობს მთიანეთის ლანდშაფტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

დაწესებულების ადმინისტრაციამ წარმოადგინა ხედვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით. რეგიონი ძირითადად მეკარტოფილეობის ზონას წარმოადგენს, თუმცა ბოლო დროს აქტუალურია ბოსტნეული კულტურების წარმოება, როგორც დახურულ ასევე ღია გრუნტში და მებოსტნეობა მართლაც წარმოადგენს პრიორიტეტულ მიმართულებას სამცხე - ჯავახეთის რეგიონისათვის.

აღნიშნული პროექტის განხორციელება სრულად პასუხობს ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამას.

<u>დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია „სოფლის მეურნეობის“ ჩარჩო-დოკუმენტთან, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია „მებოსტნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

„მებოსტნის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულების „პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გასაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, რომლებმაც სწავლის უფლება მოიპოვეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების შედეგების საფუძველზე; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) აპლიკანტის ჩარიცხვა; პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები; პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები; მობილობის წესით ჩარიცხვა; პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის დადგენას, რათა უნივერსიტეტმა მიიღოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ის ოპტიმალური რაოდენობა, რომელთათვისაც პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეძლებს ხარისხიანი პროფესიული განათლების მიცემას უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია რამდენიმე მნიშვნელობანი გარემოება. მათ შორის: პროფესიული პროგრამის ხანგძლივობა, სასწავლო გარემო (A, B და C), აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საგანმანთლებლო რესურსი, პრაქტიკის ობიექტები და პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა.

„მებოსტნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში იქნა მიღებული სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა შესაბამისი A, B და C გარემოს მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა,

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი შესაბამისობაშია ჩარჩო-დოკუმენტით განსაზღვრულ მატერიალურ რესურსთან, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდული არა აქვს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტით „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს ფაკულტეტი და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო“. „მებოსტნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2021 წლის 11 მარტის №14 დადგენილებით. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „სოფლის მეურნეობის“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, რომლის ერთ-ერთი მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - „საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მებოსტნეობაში“, პროგრამის სახელწოდება „მებოსტნე“, სრულ შესაბამისობაში მოდის როგორც შინაარსთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელი კვალიფიკაციაა პროფესიული სტუდენტისათვის სახელწოდება არის ნათელი, გასაგები და არ შეიცავს შეცდომაში შეყვანის რისკს.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავების საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი „სოფლის მეურნეობა“, სარეგისტრაციო ნომერი 09114-პ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობანი; სტრუქტურა და მოდულები.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 7 ზოგად მოდულს, ჯამური 18 კრედიტის მოცულობით და 17 პროფესიულ მოდულს, ჯამური 42 კრედიტის მოცულობით.

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 60 კრედიტს და სწავლის ხანგრძლივობაა 40 კვირა;

მოდულების, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით და მოცულობა შეადგენს 75 კრედიტს, სწავლის ხანგრძლივობაა 50 კვირა;

პროგრამას დანართის სახით ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით. სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. გათვალისწინებულია განმეორებითი შეფასებისთვის ვადები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ (დამტკ. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 10. 18.05.2020 წ. ოქმი №2)
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკ. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №11.18.05.2020წ. ოქმი №2)“
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიით;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითრების და სამოქმედო გეგმით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების დადგენილებით;
- „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- ინტერვიუს შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1.პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადით „პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია უნივერსიტეტში არსებული როგორც სასწავლო, ასევე პრაქტიკულ კომპონენტთან მიმართებით, ვინაიდან მას გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი“.

დისტანციური ჩართვისას განხორციელდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსში - ქ. ქ. ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ №119, ,,მებოსტნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფილია A, B და C სასწავლო სასწავლო გარემოში არსებული მატერიალური რესურსის დათვალიერება.

A გარემოში წარმოდგენილია 20 სამუშაო ადგილი (მადიდა და სკამი 20 პროფესიული სტუდენტისათვის), გარემოში არაა განთავსებული პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განკუთვნილი კომპიუტერი და დემონსტრირების ციფრული საშუალება.

B გარემო არ არის სათანადოდ აღჭურვილი, არაა კომპიუტერები (პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის), პრინტერი, დემონსტრირების ციფრული საშუალებები.

C გარემო - დაწესებულებას გამოყოფილი აქვს მიწის ნაკვეთი (ღია გრუნტი) სადაც ის გეგმავს პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილია ძველი შენობის ნანგრევები, სადაც პროგრამის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციის განცხადებით უნდა მოეწყოს დახურული გრუნტი (ე.წ. სათბური). ახლანდელი მდგომარეობით არსებული შენობა ვერ იქნება გამოყენებული მცენარის ზრდა განვითარებისათვის. დაწესებულებას არ აქვს C გარემოში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა.

დაწესებულების მიერ, წარმოდგენილი განაცხადით, კომპონენტი შეფასებულია **„სრული შესაბამისობით“.** დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტების საფუძველზე დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი (№213763; 10/03/2021) სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის სახელზე მიწერილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აღჭურვილობის შეძენაში დახმარებასთან დაკავშირებით და სააგენტოს პასუხი (№230083; 15/03/2021) აღჭურვილობის შესაძენად ფინანსურად უზრუნველყოფის დაპირების შესახებ, ასევე გაუმჯობესების გეგმა (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა) სადაც უკვე კომპონენტი შეფასებულია **„მეტწილი შესაბამისობით“,** შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში იდენტიფიცირებულია კომპონენტთან შეუსაბამობა, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, შესრულების ვადა, პასუხისმგებელი პირი და სტრუქტურული ერთეული, შემსრულებელი, სხვა ჩართული პირები, დაფინანსების წყარო და ოდენობა (დაწესებულება თუ ვერ მიიღებს დაფინანსებას სახელმწიიფო ბიუჯეტიდან, გამოყენებული იქნება უნივერსიტეტის ბიუჯეტი), შესასყიდი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, აღნიშნულიდან გამომდინარე კომპონენტი ექსპერტების მიერ შეფასდა **„მეტწილი შესაბამისობით“.** აქვე აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას არა აქვს გამოცხადებული ტენდერი და ვერ დგინდება აღჭურვილობის შეძენასთან დაკავშირებული პროცედურა მოგვარდება თუ არა 6 თვეში.

<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მებოსტნეობა“ სრულყოფილად განსახორციელებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია სასწავლო გარემოს საჭირო აღჭურვილილობით უზრუნველყოფა.</u>

უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა განახორციელოს ორ ცვლაში. უნივერსიტეტში ,,მებოსტნის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით განისაზღვრა ზღვრული ოდენობა 40 პროფესიული სტუდენტით.
დაწესებულებას 2021 წლის 27 თებერვალს გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს ჯავახეთის აგრო კომპანიასთან, რომლის საქმიანობაც მრავალპროფილურია. გასაუბრება შედგა ასოციაციის წარმომადგენელთან, რომელმაც გამოთქვა სული მზადყოფნა და მხარდაჭერა დაწესებულებასთან სათანამშრომლოდ. კომპანიას აქვს სამაცივრე მეურნეობა, ჩითილების წარმოება, კარტოფილის წარმოება, მცენარეთა დაცვის საშუალებების მაღაზია, ნიადაგის ლაბორატორია. მომავალში ისინი გეგმავენ ინ-ვიტრო ლაბორატორიის მოწყობას და სარგავი მასალის ქსოვილური კულტურით წარმოებას. ასოციაცია აწარმოებს ბოსტნეულ კულტურებს (სტაფილო, ჭარხალი, ბროკოლი), კომპანია გამოთქვავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

თანხმობას, უნივერსიტეტის პროფესიულმა სტუდენტებმა მათ ბაზაზე გაიარონ „მებოსტნის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 10 მასწავლებელი, აქედან 5 ზოგადი და 5 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია. სასწავლო გეგმის მიხედვით მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება კვირეულ 40 საათს. გარდა სალექციო საათებისა პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შემუშავებისა და სრულყოფის პროცესში მონაწილეობას, შეფასების ინსტრუმენტის და კალენდარული გეგმის შემუშავებას, საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას და პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ ტრენინგებში მონაწილეობას, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღებას და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლებას;

შერჩეული კონტიგენტი არ წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, რაც ზრდის პროფესიულ პროგრამაში მათი ჩართულობის მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლები შერჩეულია კონკურსის საფუძველზე მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. შერჩევისას ძირითად კრიტერიუმებად გათვალისწინებულია შესაბამისი სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გამოცდილება, უპირატესობა მინიჭებული აქვთ იმ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, რომელთაც აქვთ კვალიფიკაცია და სერტიფიკატები, რაც უზრუნველყოფს მათი სიახლეებზე ორიენტირებას, ყურადღება გამახვილებულია სწავლების გამოცდილებაზე (განსაკუთრებით ზრდასრულთა განათლების თავისებურებების ცოდნაზე).

პროფესიული საგანმანათლებო პროგრამის განმახორციელებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცნობისა და მათთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ პედაგოგთა ნაწილს (ძირითადად ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს), რომელთაც გავლილი აქვთ ტრენინგები აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, ხოლო <u>დარგობრივი პროფესიული მოდულის განმახორციელებელმა იმისათვის, რომ უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავება და შეფასება მიზანშეწონილია ჩაუტარდეთ ტრენინგები.</u>

სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციის განცხადებით გაგზავნილი აქვთ წერილი მასწავლებელთა განვითარების ცენტრში, ტრენინგების ჩატარების სურვილით.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მუხლი 6-ით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები.

„მებოსტნის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, აგროქიმიკოს-ნიადაგმცოდნის კვალიფიკაციით. მისი სამუშაო გამოცდილება გარდა სწავლებისა უკავშირდება აგრარულ სფეროს. წლების მანძილზე იგი გახლდათ წამყვანი სპეციალისტი სოფლის მეურნეობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სამინისტროს პროექტების მართვის ახალქალაქის სააგენტოში, ასევე, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფ. სპეციალისტად და აგრარული სფეროს სხვადახვა სამსახურებში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

დისტანციური ჩართვის დროს დათვალიერებულ იქნა ბიბლიოთეკა ქ. ახალქალაში და განხორციელდა გასაუბრება ქ. ახალციხის - სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკურ ხელმძღვანელთან, დაწესებულებას გააჩნია ელექტრონული წიგნების ბაზა, ყველა საჭირო საგანმანათლებლო რესურსი გაციფრულებულია და ხელმისაწვდომია ელექტრონულ ფორმატში ქ. ახალქალაქში, სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია ციფრული ვერსიების მატერიალურად ამობეჭდვაც, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომბაინი, 3 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის და ერთი კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის. ქ. ახალქალაქის ბიბლიოთეკაში იგეგმება მატერიალური საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფაც, ქ.ახალციხის ბიბლიოთეკაში ექსპერტების მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო ლიტერატურა, რომელიც ქ. ახალქალაქის კორპუსისთვის არის განკუთვნილი და გამზადებული იყო გადასატანად, ექსპერტების მიერ გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურაც. ქ. ახალქალაქის ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

<u>საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული და მატერიალური სახით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში;</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულებაში არსებობს მზაობა, რათა სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; სსსმ პირებისთვის, ქ. ახალქალაქში, როგორც სასწავლო გარემოში, ისე ბილიოთეკაში უზრუნველყოფილია სპეციალური სივრცე, გამოყოფილია თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია მის მომსახურებაზე, დაწესებულების მიერ შემუშავებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (მუხლი 16. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები) თანახმად უნივერსიტეტი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვი შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და განხორციელდება მისი მოდიფიკაცია და/ან აკომოდაცია და შესაბამისად, დააზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

საგანმანთლებლო პროგრამა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში, სადაც გათვალისწინებულია, როგორც პროფესიული მასწავლებლების ისე ადმინისტრაციის მომსახურების ანაზღაურება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ (დამტკ. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 10. 18.05.2020 წ. ოქმი №2)
- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის №230083; 15/03/2021 წერილით;
- გაუმჯობესების გეგმით (შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „მებოსტნეობა;
- ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმი მოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულებაში პროფესიული განათლების მოქმედი „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის დაგეგმვის, მართვის, მონიტორინგის და განვითარების პროცესებს. უნივერსიტეტს ჰყავს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შექმნილია და აკადემიური საბჭოს დადგენილებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რომლის 6[1] მუხლით განსაზღვრულია პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის უფლება-მოვალეობები, აღნიშნული დოკუმენტი სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემასაც. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი შემუშავებულია ხარისხის ციკლის მიხედვით დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე, რაც უზრუნველყოფს პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის და განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობას. როგორც შესაბამის პირებთან გასაუბრებით ირკვევა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია კითხვარები, რომელთა მეშვეობითაც პერიოდულად ხორციელდება: პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლებისა და პარტნიორების გამოკითხვები და ხორციელდება მათი შეფასების ანალიზი. ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინება პროგრამის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“, მე-8 მუხლი ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესს, რომლის თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე. წესები შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. პროფესიული განათლების შიდა მექანიზმებით გათვალისწინებულია პროგრამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მონიტორინგი და შეფასება. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამაში ცვლილებების განხორციელება; კმაყოფილების კვლევის შედეგები საშუალებას იძლევა, ასევე, გაუმჯობესდეს უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსი, რათა არსებული გარემო იყოს პროფესიულ სტუდენტის მოთხოვნებზე ორიენტირებული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“(დადგ. № 10. 18.05.2020 წ. ოქმი № 2).
  - გასაუბრებით;

შეფასება:

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. გათვალისწინებულია ორკვირიანი შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები ატარებენ პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, გამოკითხვას ელექტრონული სახით. კითხვარები ეხება სასწავლო პროცესის მიმდინარეობას და ფასდება, თუ რამდენად კმაყოფილნი არიან სტუდენტები იმ საგანმანათლებლო პროგრამით, რომელზეც ირიცხებიან და ზოგადად უნივერსიტეტში არსებული სასწავლო/საგანამანათლებლო გარემოთი. უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია რეაგირების მექანიზმი, რომელიც მოქნილია და ორიენტირებულია ადეკვატურ ღონისძიებებზე. უნივერსიტეტის ხარისხის სამხსახურის მენეჯერი პროფესიული განათლების მიმართულებით უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას იმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტრუქტურული ერთეულისთვის, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიული სტუდენტების კვლევაში დაფიქსირებული პრობლემების მოგვარებაზე. განისაზღვრება კონკრეტული ვადა, ხოლო პრობლემის აღმოფხვრა ანგარიშის სახით ეცნობება ადმინისტრაციას. პრობლემა, რომელიც გრძელვადიან რეაგირებას საჭიროებს, აისახება სამოქმედო გეგმაში.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს და დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს, ისე, როგორც გათვალისწინებულია მოდულით. პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს, პროცესი უწყვეტია და დაწესებულება რეგულარულად სთავაზობს მათ ამ მიმართულებით ტრენინგებს.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ - მე-15 მუხლი სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, ასევე „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-7 მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა პირობა, პროცედურა და მასზე პასუხისმგებელი პირები. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში - შშმ)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისა და სტატუს აღდგენილი სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს „ჯავახეთის აგროკომპანიასთან“, სადაც პროფესიული სტუდენტები შეძლებენ პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული გარკვეული მოდულების პრაქტიკული კომპონენტის გავლას ამ ორგანიზაციის ბაზაზე. მემორანდუმი გაფორმებულია უვადოდ.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

სასწავლო კორპუსში პროფესიული სტუდენტებისა და მოდულის განმახორციელებლებისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დასაცავად გატარებულია სამედიცინო დახმარების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების და მართლწესრიგის დაცვის შესაბამისი ღონისძიებები. ასევე, დაწესებულება უზრუნველყოფს ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე სასწავლო პროცესი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების დაცვით განახორციელოს.

დღე-ღამის განმავლობაში სასწავლო კორპუსის, მასში განთავსებული მატერიალური ფასეულობების, კორპუსის ტერიტორიაზე და შენობის შიგნით მართლწესრიგის დაცვას უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული დაცვის პოლიციის სამმართველო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასწავლო კორპუსის ყველა სართულზე და ტერიტორიის მთელ პერიმეტრზე დამონტაჟებულია სამეთვალყურეო კამერები. სასწავლო კორპუსში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი დაკომპლექტებული კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, წყლის ქსელით. სამედიცინო კაბინეტი მომარაგებულია პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის ყველა საჭირო მედიკამენტით.

სასწავლო კორპუსში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები. ყველა სართულზე გამოკრულია უნივერსიტეტის ხელმძღვანელის პირის მიერ დამტკიცებული საევუაკუაციო გეგმები. დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები გამოყენების ინსტრუქციის დეტალური მითითებით.

თვალსაჩინო ადგილას გაკრულია ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისთვის სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტების მოქმედებების ინსტრუქცია კონკრეტული პასუხისმგებელი პირების მითითებით. თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია უსაფრთხოების წესები და ხანძრის პირობებში სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახების საკონტაქტო ნომერი „112“.

სასწავლო კორპუსს გააჩნია დამატებითი საევუაკუაციო გასასვლელები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახ. უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული კითხვარებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით დაწესებულების წარმომადგენლებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესის“ (დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 9. 18.05.2020 წ. ოქმი № 2) თანახმად პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა ეფუძნება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს. რეგულაცია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შეფასებისას ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებას, როგორებიცაა: ვალიდურობა, სანდოობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. სწავლის შედეგების შეფასების წესი ითვალისწინებს ისეთ ეტაპებს, როგორებიცაა: შესაფასებელი სწავლის შედეგების იდენტიფიცირება; სწავლის შედეგებისათვის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა; შეფასების ინსტრუმენტის შექმნა; შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება; შეფასების განხორციელება; შეფასების შედეგების გაფორმება და მტკიცებულებათა შენახვა. შეფასების რეგულაციების შედგენისას მაქსიმალურად არის გთვალისწინებული სტუდენტის ინტერესები. გაწერილია განმეორებითი შეფასების და აპელაციის პროცედურები.

შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას; ზოგადი მოდულების, ასევე პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივ ვალიდაციასა და ინსტრუმენტების მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებთან ფორმალურ შესაბამისობას უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი შესაბამისი კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტების ჩართულობით (ე.წ/ ვალიდაციის ჯგუფი);

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესის“ მუხლი 10-ით ასევე განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმი, პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც დარგის სპეციალისტია, მოახდენს შეფასების ინსტრუმენტების პერიოდულ ვერიფიკაციას და და შეფასების ინსტრუმენტის კონტექსტში ადგენს: „ა) შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას შეფასების მიმართულებასთან; ბ) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობას ანუ ინსტრუმენტის რელევანტურობას იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რომელიც ფასდება. ასევე იმას, რომ შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით; გ) შეფასების სისტემის სამართლიანობას, ანუ ინსტრუმენტით გათვალისწინებული პროცესი მისცემს თუ არა საშუალებას პროფესიულ სტუდენტს, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

და სხვა პირობები); დ) შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას, ანუ რამდენაც ცალსახად და გასაგებადაა ჩამოყალიბებული სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია“;

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესის“ მუხლი 11-ით შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს/შემფასებელს;. შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან/და ციფრული სახით არსებულ დადასტურებას. შეფასების მტკიცებულებები უნდა უზრუნველყოფდეს პროფესიული სტუდენტის იდენტიფიცირების საშუალებას. შეფასების მტკიცებულებები (მაგ. მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულები, აუდიო ჩანაწერები და სხვა) აღირიცხება და უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება საამისოდ განკუთვნილ ადგილას. მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით; შეფასების მტკიცებულებები აღირიცხება იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა;

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესის“ მუხლი 12-ით შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება შეფასების დღეს ან შეფასების განხორციელებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში, შეფასების მიმართულებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

თავისებურების გათვალისწინებით; შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ პერსონალური მონაცემების დაცვით; მოდულის განმახორციელებელი პირი ვალდებულია, პროფესიულ სტუდენტთა შედეგები განზოგადებული სახით განიხილოს ჯგუფში და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები, შეფასების გაუმჯობესების მიმართულებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესით“;
- გასაუბრებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

4.05.2021
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: